ტყე

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	407
კითხვის დონე:	მე-12
ტექსტის მოკლე შინაარსი:	ტექსტი „ტყე“ მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას „კვების ჯაჭვის“ შესახებ, აგრეთვე წელიწადის სხვადასხვა დროს ტყის ცხოვრების შესახებ .

გაკვეთილის მიზანი:

მოცემული ტექსტის (“ტყე“) გაგება-გააზრება და სტრუქტურული თუ ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა

გაგება / გააზრება:

- მთავარი იდეის გამოკვეთა;
- სიუჟეტის განვითარების საფეხურების (დასაწყისი, ამბის განვითარება, დასკვნა) გამოყოფა;
- სიუჟეტის პროგნოზირება და მოვლენათა თანამიმდევრობის ამოცნობა;
- კვების ჯაჭვის და მისი შემადგენელი ელემენტების გააზრება და დაკავშირება;
- წელიწადის დროების ცვალებადობის შესწავლა ტყეში, წელიწადის ცვლილებებთან დაკავშირებული მოვლენების კლასიფიკაცია წელიწადის დროების შესაბამისად.

ლექსიკა და გრამატიკა:

სინტაქსი/გრამატიკა	ლექსიკა
1. კონსტრუქციები - თბილა, გრილა, ცივა, ცხელა. თბილა, ცივა, ცხელა ზმნათა შემცველი წინადადების კონსტ-რუქციების გააქტიურება და მოსწავლეების მუშაობა მსგავსი კონსტრუქციების შექმნაზე.	1 ტექსტში გამოყენებული მცენარეების და ცხოველების ლექსიკური ერთეულების დასწავლა; 2. წელიწადის დროთა ცვალებადობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების დასწავლა; 3. ტექსტში გამოყენებული ცხოველების და მცენარეების ქცევისა და გარეგნული იერის ცვალებადობის დაკავშირება წელიწადის დროთა ცვალებადობასთან; სინონიმებზე მუშაობა - ტექსტში გვხვდება სინონიმური ჯგუფი: იკვებებიან, მიირთმევენ, ჭამენ. ამ სინონიმებზე დაყრდნობით, სინო-ნიმებზე მუშაობა.

რესურსები:

1. წიგნი - „ტყე“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის) ან კლასში კომპიუტერისა და პროექტორის ან ნეთბუკის გამოყენებით ჩვენება;
2. დაფა, ცარცი;
3. სამუშაო ფურცლები;
4. ვიზუალური გრაფიკები დავალებების შესასრულებლად.

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

1. სანამ ტექსტის წაკითხვას დაიწყებდეთ, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა იციან წელიწადის დროების შესახებ, როგორ იცვლება წელიწადის დროები მათ გეოგრაფიულ არეალში, როგორ აისახება ეს ცვლილებები მცენარეებზე, ცხოველებსა და ფრინველებზე. რამდენად განსხვავდება წელიწადის დროების ცვლილება ტყესა და ქალაქში არასატყეო ადგილებში.
2. დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნები სათითაოდ. აჩვენეთ მათ წიგნის წინა და უკანა ყდა და წაუკითხეთ წიგნის სათაური. იმსჯელეთ მოსწავლეებთან წიგნის ყდის შესახებ, რას ხედავენ ყდაზე. წაახალისეთ მოსწავლეები, გამოთქვან საკუთარი ვარუდი, როგორი ტიპის წიგნი შეიძლება იყოს ეს, ან რის შესახებ შეიძლება ეწეროს წიგნში.
3. მოსწავლეებს ჰკითხეთ, რა იციან კვების შესახებ. დაფაზე შექმენით სამგრაფიანი ცხრილი და გონებრივი იერიშის შედეგად მოსწავლეებს ჰკითხეთ, თუ რით საზრდოობს მიწა ტყეში, რით საზრდოობენ მცენარეები ტყეში, რით საზრდოობენ ცხოველები ტყეში. მაქსიმალურად შეეცადეთ, გააქტიუროთ მოსწავლეთა არსებული ცოდნა: სამგრაფიანი ცხრილი შემდეგნაირად შეიძლება გამოიყურებოდეს;

როგორ საზრდოობს ტყის ნიადაგი	როგორ იკვებებიან ტყეში მცენარეები	როგორ იკვებებიან ტყეში ცხოველები და ფრინველები
1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3. 4.

აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

გაგების უნარი / ტექსტის მთავარი იდეისა და მეორეხარისხოვანი დეტალების გამოყოფა:

1. სთხოვეთ ბავშვებს, წაიკითხონ ტექსტი პირველიდან მეოთხე გვერდის პირველი აბზაცის ჩათვლით. ტექსტის წასაკითხად შეგიძლიათ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოთ. სთხოვეთ ბავშვებს, დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტი. შესთავაზეთ მათ, რიგრიგობით, გაგრძელებით წაიკითხონ ტექსტი, ისე, რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული ან სთხოვოთ, ერთმა ბავშვმა წაიკითხოს და სხვა ბავშვებმა გაიმეორონ ტექსტი. არჩეული სტრატეგია დამოკიდებულია მასწავლებელზე და კონკრეტულ კონტექსტზე, მოსწავლეების რაოდენობაზე კლასში და მათ საჭიროებებზე;
2. ტექსტის წაკითხვის შემდეგ, დაფაზე დახატეთ კვების ჯაჭვი, დაახლოებით შემდეგნაირად:

კვების ჯაჭვი

1.

2.

3.

4.

კვების ჯაჭვი

სთხოვეთ მოსწავლეებს, დახატული გრაფიკის უჯრები შეავსონ. ამ აქტივობისთვის ჩაატარეთ გონებრივი იერიში. სთხოვეთ პასუხისგამცემ მოსწავლეებს, დაასაბუთონ, თუ რატომ ფიქრობენ, რომ კვების ჯაჭვის კონკრეტულ ნაწილში ეს ინფორმაცია უნდა შეიტანონ... წაახალისეთ დისკუსია მოსწავლეებს შორის.

3. აღნიშნული აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს წააკითხეთ ტექსტი მეოთხე გვერდის მეორე აბზაციდან მერვე გვერდის ბოლომდე. აღნიშნული ტექსტი გადაანაწილეთ 4 მოსწავლეზე წელიწადის დროების მიხედვით და თითო წელიწადის დრო თითო მოსწავლეს წააკითხეთ. პირველი მოსწავლე წაიკითხავს ზამთრის შესახებ ინფორმაციას ტექსტიდან. ზამთარზე საუბრის დასრულებისას, მოსწავლეებს ჰკითხეთ, მათი აზრით, შემდეგ ნაწილში წელიწადის რომელ დროზე იქნება საუბარი და რატომ. მოსწავლეთა პასუხის მიღების შემდეგ გააგრძელებინეთ მეორე მოსწავლეს კითხვა. ანალოგიურად გააკეთეთ წელიწადის მესამე და მეოთხე დროებთან დაკავშირებითაც. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს ჰკითხეთ, თუ რომელმა მოსწავლემ წელიწადის რომელი დრო წაიკითხა. სთხოვეთ მოსწავლეებს, ტექსტის ამ ნაწილის მთავარი იდეა გამოკვეთონ.

კითხვის შემდგომი აქტივობები:

ლექსიკა/გააზრება

1. დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები. სამუშაო ფურცლები ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. სთხოვეთ მოსწავლეებს აღნიშნული ცხრილის მეშვეობით მოახდინონ ტექსტში არსებული ინფორმაციის ორგანიზება. სთხოვეთ მათ, რომ შესაბამის გრაფაში ჩაწერონ ის მცენარეები, რომლებიც ტყის ზედა, შუა და ქვედა საფეხურებს მიეკუთვნებიან. აქვე აუხსენით, რომ ინფორმაციის ასე კლასიფიცირება და დახარისხება ხელს უწყობს ტექსტის როგორც ძირითადი ნაწილის, ასევე დეტალების გააზრებას და დამახსოვრებას

ტყე		
ზედა სართული	**შუა სართული**	**ქვედა სართული**

2. აღნიშნული დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები დაყავით სამ ჯგუფად. ჯგუფებს პირობითად შეგიძლიათ დაარქვათ: (ა) ზამთრის ჯგუფი; (ბ) ზაფხულის ჯგუფი და (გ) შემოდგომის ჯგუფი. ჯგუფებში მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებს ჰკითხეთ, თუ რა ინფორმაციაა ტექსტში მოცემული გაზაფხულის შესახებ და გაზაფხულის დადგომასთან ერთად - ტყეში მიმდინარე პროცესებზე. მოსწავლეების პასუხები ჩამოწერეთ თქვენ მიერ წინასწარ დაფაზე შედგენი ცხრილში. გონებრივი იერიშის დროს დაეხმარეთ მოსწავლეებს სწორი პასუხის ფორმირებაში. გონებრივი იერიშის დასრულების შემდეგ დაფაზე თქვენ მიერ გაკეთებული ცხრილი დაახლოებით ასე უნდა გამოიყურებოდეს:

გაზაფხული -ყინული კვებავს ბალახს, გვიმრებს, ხავსს; -ახლად ამოსული ბალახი კვებავს ცხოველებს და ფრინველებს; -ხეები ფოთლებსა და ყვავილებს ისხამენ; --- - იღვიძებენ ცხოველები, ფრინველები, მცენარეები; - ბუნება ისევ მწვანე და ხმაურიანი ხდება.	**ზაფხული**
შემოდგომა	**ზამთარი**

სთხოვეთ მოსწავლეებს, გაზაფხულის ანალოგიურად, შესაბამისმა ჯგუფმა ცხრილში ჩამოწეროს შესაბამის წელიწადის დროს ტყეში მიმდინარე მოვლენები და ცვლილებები. ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეთ, თავიანთი ჯგუფური ნამუშევარი შეიტანონ დაფაზე არსებული ცხრილის შესაბამის ნაწილში და ასე გააცნონ სხვა მოსწავლეებს მათი ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაო.

3. მოსწავლეებს დაურიგეთ სამუშაო ფურცლები. აუხსენით, რომ სამუშაო ფურცელი ოთხ ნაწილად არის წარმოდგენილი. სამუშაო ფურცლის პირველი გრაფა შევსებულია და ჩამოწერილია ის მცენარეები, რომლებიც მიწიდან იკვებებიან (ტექსტის მიხედვით). სთხოვეთ მოსწავლეებს, ტექსტის მიხედვით,

ანალოგიურად შეავსონ სხვა გრაფებიც და შესაბამის გრაფებში ჩამოწერონ შესაბამისი არსებითი სახელები:

მიწიდან იკვებებიან: - ბალახები; - ხავსი; - გვიმრები; - მცენარეები	**ბალახებით, ხავსით, გვიმრით, ყვავილებით იკვებებიან:**
ცხოველებით და ფრინველებით იკვებებიან:	**მიწას კვებავენ:**

ლექსიკაზე / სინონიმებზე მუშაობა

სთხოვეთ მოსწავლეებს, ტექსტის მეოთხე გვერდი კიდევ ერთხელ წაიკითხონ. სთხოვეთ, ამ გვერდზე მონიშნონ არსებული სინონიმები (იკვებებიან, მიირთმევენ). სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ ამ სიტყვების კიდევ ერთი სინონიმი, რომელსაც ყოველდღიურად საკმაოდ ხშირად ხმარობენ (ჭამენ). სთხოვეთ მოსწავლეებს, ტექსტის მეხუთე და მეექვსე გვერდებიდან ამოწერონ 5 სიტყვა და გაიხსენონ მათი სინონიმები, მაგალითისათვის მიეცით მოსწავლეებს ნიმუში დავალების შესასრულებლად:

სინონიმები	
ლამაზი	მშვენიერი
დაეხეტება	დადის
საკვები	საჭმელი
უჭირს	უძნელდება
მოსდევს	მოყვება

სინტაქსი/ წინადადები აგება

ტექსტში რამდენიმეჯერ მეორდება ანალოგიური კონსტრუქციის მქონე წინადადებები სპეციფიკური ზმნებით: ცხელა, ცივა, გრილა...

პირველ რიგში, მივაწოდოთ მოსწავლეებს ინფორმაცია ამ თავისებური ზმნების შესახებ; გავახსენოთ ზმნის პიროვანი უღლება:

მე ვ-წერ, შენ წერ, ის წერ-ს...

დაფაზე დავწეროთ ზმნა ცხელა. ვთხოვოთ კლასს, შეუწყონ ამ ზმნას პირი... სავარაუდო მცდელობის შემდეგ მოსწავლეები თავად უნდა მივიყვანოთ (აღმოჩენის გზით), რომ ცხელა ზმნას პირი არ შეეწყობა.

დავალება:

დავავალოთ მოსწავლეებს, ტექსტში მოიძიონ ანალოგიური ზმნები - ზმნები, რომლებიც გამოხატავენ ტემპერატურას და პირს არ შეიწყობენ. მოსალოდნელი პასუხები ჩამოვაწერინოთ დაფაზე იმ მოსწავლეებს, რომლებიც მოიძიებენ შესაბამის ზმნებს.

დავაჯგუფოთ მოსწავლეები (სავარაუდოდ, 3 ჯგუფად). დაფაზე დავწეროთ ზმნა ცხელა და გვერდზე მივუწეროთ ორპირიანი შესატყვისი ფორმა - მე მ-ცხელა.

შევახსენოთ ობიექტური პირის ნიშნები; დაფასთან გამოვიძახოთ მსურველი და ვაუღლებინოთ ზმნა ***მ-ცხელა*** მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. ანალოგიურად ვაუღლებინოთ ინდივიდუალურად სამუშაო რვეულებში ზმნა ***ცივა.***

ვამსჯელოთ მოსწავლეები ***ცხელა - ს-ცხელა; ცივა - ს-ცივა*** წყვილების შესახებ. კარაგად გავააზრებინოთ ამ ფორმათა შორის არსებული სხვაობა.

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს, სახლში დაწერონ წელიწადის დროების შესახებ; საკუთარ გეოგრაფიულ არეალში, ეზოში და ა.შ. თუ როგორი ცვლილებები ხდება მათ გარშემო წელიწადის დროს ცვლილებასთან ერთად. ამასთანავე, სთხოვეთ მოსწავლეებს, დაწერონ საკუთარ თავზე, თუ როგორ იცვლება პირადად მათი ცხოვრება წელიწადის დროის ცვლილებასთან ერთად. გაკვეთილზე იმსჯელეთ მოსწავლეების საშინაო დავალებებზე.